



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

3 ოქტომბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №201

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის თემის ტერიტორიაზე ქუჩების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 29 ივნისის №103 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „დამისამართების პროცესში მონაწილე დაწესებულებების თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის №358 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის №18 დადგენილების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის თემის ტერიტორიაზე ქუჩების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ნუმერაციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 29 ივნისის №103 ბრძანებაში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის თემში არსებულ მე-18 ქუჩას დაემატოს საცხოვრებელი სახლის №26ა.
2. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს:
 - ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს;
 - ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
 - გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: აღუგო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer